Co-funded by the European Union

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.
გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის, მხოლოდ და მხოლოდ, ავტორ(ებ)ს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან ევროპის განათლების და კულტურის აღმასრულებელი (EACEA) სააგენტოს მოსაზრებებს.
არც ევროკავშირი და არც გრანტის გამცემი ორგანო არ შეიძლება ჩაითვალონ პასუხისმგებელ პირებად.

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სილაბუსის აღწერა

სასწავლო კურსის დასახელება	ევროპის თანამედროვე ისტორია - XIX ს. 70-იანი წლებიდან დღემდე
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო
ECTS	5 ECTS კრედიტი
სწავლის საფეხური	ბაკალავრიატი

ლექტორი:	გურანდა ჭელიძე, ისტორიის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი

სასწავლო კურსის ფორმატი	30 საათი	
ლექცია სემინარი პრეზენტაცია შუალედური/ დასკვნითი გამოცდა	15 საათი 9 საათი 2 საათი 4 საათი	

სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსი სტუდენტებს მისცემს ევროპის კონტინენტზე და მის ძირითად ქვეყნებში მიმდინარე პროცესების შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობას. კურსის მიზანია სტუდენტმა შეძლოს XIX-XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ევროპის ქვეყნების სოციოკულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების საკვანძო მომენტების გახსნა, მსოფლიო ისტორიაში შესასწავლი პერიოდის მნიშვნელობის გამოვლენა, ევროპის პოლიტიკური რუკის ცვლილებებისა და საერთაშორისო არენაზე ძალთა ახალი ბალანსის შესწავლა, იცოდეს როგორ ხდება არსებული პრობლემების შეფასება ისტორიოგრაფიაში. სასწავლო კურსი გაუფართოვებს და გაუღრმავებს სტუდენტებს თანამედროვე ეტაპზე ევროპის სახელმწიფოთა განვითარების საკმაოდ რთული ასპექტების გააზრების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტის ექნება შესაძლებლობა, განსაზღვროს საქართველოს ადგილი და როლი ევროპის ისტორიის კონტექსტში და აქ მიმდინარე პროცესები განიხილოს საერთაშორისო მოვლენების ჭრილში.

სასწავლო კურსის შინაარსი

- საერთაშორისო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის წინ
- ევროპული იმპერიალიზმი
- გერმანიის ევროპაში გაბატონების მცდელობა (1914-1918)
- პარიზის სამშვიდობო პროცესი და ახალი საერთაშორისო წესრიგი
- დასავლური სამყარო XX ს. ოცდაათიან წლებში - გამქრალი ილუზიები
- გერმანიის ევროპაზე გაბატონების მეორე მცდელობა
- ომისშემდგომი ევროპა - ბიპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბება (ლიბერალური კაპირალისტური წესრიგისა და ატლანტიკური უსაფრთოების სისტემა)
- ომისშემდგომი ევროპა - ბიპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბება (ევროპის ეკონომიკური და სამხედრო ინტეგრაციის პროექტები, ევროპის გაერთიანების ჩამოყალიბება)
- ევროპის პოლიტიკური მოწესრიგება
- ევროპა: ინტეგრაცია თუ დეზინტეგრაცია
- ევროპა - კრიზისი და შესაძლებლობები
- საქართველოდან დანახული ევროპა

მეთოდები და აქტივობები

- ვერბალური მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;

- გონებრივი იერიში (Brain storming);
- დემონსტრირების მეთოდი;
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება

Co-funded by the European Union

EUPPS Jean Monnet Chairs

CAUCASUS UNIVERSITY

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.
გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის, მხოლოდ და მხოლოდ, ავტორ(ებ)ს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან ევროპის განათლების და კულტურის აღმასრულებელი (EACEA) სააგენტოს მოსაზრებებს.
არც ევროკავშირი და არც გრანტის გამცემი ორგანო არ შეიძლება ჩაითვალონ პასუხისმგებელ პირებად.

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სილაბუსის აღწერა

სასწავლო კურსის დასახელება	ევროპის ახალი და უახლესი ისტორია
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო
ECTS	5 ECTS კრედიტი
სწავლის საფეხური	ბაკალავრიატი

ლექტორი:	გურანდა ჭელიძე, ისტორიის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი

სასწავლო კურსის ფორმატი	30 საათი	
ლექცია სემინარი პრეზენტაცია შუალედური/ დასკვნითი გამოცდა	15 საათი 9 საათი 2 საათი 4 საათი	

სასწავლო კურსის მიზანი

კურსის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ყოვლისმომცველი და სისტემური წარმოდგენა ევროპაში მიმდინარე ძირითად ისტორიულ პროცესებზე ადრეული თანამედროვე პერიოდიდან XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის გამოწვევების ჩათვლით. კურსი განიხილავს ევროპული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სივრცეების ფორმირებისა და ტრანსფორმაციის დინამიკას და აანალიზებს ისტორიული ცვლილებების გავლენას თანამედროვე ევროპის კონსტრუქციაზე.

სასწავლო პროცესის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ევროპის ისტორიული განვითარების ტრანსფორმაციულ ეტაპებს, აგრეთვე იმ იდეებს, მოძრაობებსა და მოვლენებს, რომლებმაც განსაზღვრა ევროპული საზოგადოებების განვითარების ტრაექტორია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სხვადასხვა ეპოქაში ევროპული საზოგადოებების, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციასა და მათ ადაპტაციას ახალ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებთან.

კურსი ასევე იკვლევს იმ ისტორიულ წინაპირობებსა და პროცესებს, რომლებმაც ხელი შეუწყო პროგრესის, ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების იდეების განმტკიცებას ევროპულ სივრცეში. ამასთან, იგი მიზნად ისახავს სტუდენტებში ანალიტიკური აზროვნებისა და ისტორიული მოვლენების კონტექსტუალიზაციის უნარის განვითარებას, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე ევროპული განვითარების სიღრმისეულ გააზრებას როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ ჭრილში.

სასწავლო კურსის შინაარსი

- ისტორიის პერიოდიზაციის ძირითადი საკითხები. განმანათლებლობა და მისი გავლენა ადრეული თანამედროვე ევროპის ინტელექტუალურ აზროვნებაზე. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დასაწყისი და მათი ზეგავლენა ადრეული თანამედროვე ევროპის ისტორიულ განვითარებაზე.
- რეფორმაცია: ევროპული ტრანსფორმაციების დასაწყისი ადრეული თანამედროვე პერიოდის კონტექსტში.
- ინგლისის რევოლუცია XVII საუკუნის ევროპული ტრანსფორმაციების კონტექსტში.
- საფრანგეთის რევოლუცია და ახალი პოლიტიკური იდეალების ფორმირება ევროპაში.
- ნაპოლეონის ეპოქის ევროპა და ახალი პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბება.
- სწრაფი ინდუსტრიალიზაცია ევროპაში: პროგრესი, სოციალური კონფლიქტები და ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალობები.

- 1848 წლის რევოლუციები ევროპაში და ახალი პოლიტიკური წესრიგის ძიება.
- ევროპული გაერთიანებისა და იმპერიალიზმის ეპოქა: ძალაუფლების გლობალური გადანაწილება XIX საუკუნეში.
- პირველი მსოფლიო ომი და მისი შედეგები: ტრანსფორმაციები ევროპულ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- XX საუკუნის ევროპა: საერთაშორისო ურთიერთობები 1920–1930-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომი.
- ომისშემდგომი მსოფლიო და ევროპა: ძალთა ბიპოლარული ბალანსი და ახალი საერთაშორისო წესრიგის ფორმირება.
- ევროპა: ინტეგრაცია, როგორც სტაბილურობისა და პროგრესის საფუძველი. თანამედროვე გამოწვევები.

მეთოდები და აქტივობები

- დემონსტრირების მეთოდი;
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
- გონებრივი იერიში
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური მუშაობა;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- საშინაო დავალება
- ვერბალური მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- საშინაო დავალება
- შუალედური/ფინალური გამოცდა

Co-funded by the European Union

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.
გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის, მხოლოდ და მხოლოდ, ავტორ(ებ)ს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან ევროპის განათლების და კულტურის აღმასრულებელი (EACEA) სააგენტოს მოსაზრებებს.
არც ევროკავშირი და არც გრანტის გამცემი ორგანო არ შეიძლება ჩაითვალონ პასუხისმგებელ პირებად.

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სილაბუსის აღწერა

სასწავლო კურსის დასახელება	ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო
ECTS	5 ECTS კრედიტი
სწავლის საფეხური	ბაკალავრიატი

ლექტორი:	ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი

სასწავლო კურსის ფორმატი	30 საათი	
ლექცია სემინარი	14 საათი 10 საათი	

პრეზენტაცია	2 საათი	
შუალედური/ დასკვნითი გამოცდა	4 საათი	

სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტებს თეორიული ცოდნა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ევროკავშირის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ერთიანობა, ევროკავშირის Cohesion Policy (ერთობის პოლიტიკა), ევროკავშირში სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკა, მათ შორის ევროპული სოციალური და ეკონომიკური კომიტეტის როლი და ფუნქცია, რეგიონული ინტეგრაციის ეტაპები; რეგიონული ინტეგრაციის კანონზომიერებები;, რეგიონის განვითარების ფონდი, ევროკავშირის განვითარების ეტაპები; ევროკავშირის შიდა ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები და მდგრადი განვითარების პოლიტიკა; ოპტიმალური სავალუტო ზონის კონცეფცია და ევროს ზონა; ევროკავშირის აგრარული, სავაჭრო და სოციალური პოლიტიკის თავისებურებები; ევროკავშირის ქვეყნების სოციალური მოდელები, რაც სტუდენტებს მისცემს კონკრეტული პროცესების ანალიზის, შეფასებისა და მათი სამომავლო პერსპექტივაში გააზრების შესაძლებლობას.

სასწავლო კურსის შინაარსი

- შესავალი ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკაში
- სოციალური საბაზრო ეკონომიკა
- რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიები, საბაჟო კავშირი, სამეზობლო პოლიტიკა
- ევროკავშირის მოქალაქეების ეკონომიკური და სოციალური უფლებები
- ევროკავშირის ინსტიტუტების ფუნქციები და როლი ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ფორმირებაში
- ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ძირითადი სფეროები და მიმართულებები
- სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, ერთობა, რეგიონული განვითარების ფონდი, ევროკავშირის ერთობის ფონდი, ევროკავშირის სოციალური ფონდი
- სამომხმარებლო პოლიტიკა
- დასაქმებისა და შრომის პოლიტიკა

- მრეწველობა, ენერგეტიკა, ტექნოლოგიები და ინოვაციები
- განათლება, კვლევა
- ცირკულარული ეკონომიკა
- მიგრაცია
- სავაჭრო პოლიტიკა

მეთოდები და აქტივობები

- ლექცია: ახსნა-განმარტება, პრეზენტაცია, თეორიული მასალის ახსნა
- კონკრეტული ქეისების განხილვა და ფაქტებზე დაფუძნებული შეფასებები
- დისკუსია, კამათი, მსჯელობა
- ჯგუფური მუშაობა
- სასემინარო გამოკითხვები (ზეპირი და წერითი ფორმით)
- დამოუკიდებელი საშინაო დავალების მომზადება (სტუდენტის მიერ)
- შუალედური გამოცდა
- ფინალური გამოცდა

Co-funded by the European Union

EUPS Jean Monnet Chairs

CAUCASUS UNIVERSITY

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.
გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის, მხოლოდ და მხოლოდ, ავტორ(ებ)ს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან ევროპის განათლების და კულტურის აღმასრულებელი (EACEA) სააგენტოს მოსაზრებებს.
არც ევროკავშირი და არც გრანტის გამცემი ორგანო არ შეიძლება ჩაითვალონ პასუხისმგებელ პირებად.

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სილაბუსის აღწერა

სასწავლო კურსის დასახელება	ევროკავშირის სამართალი
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო
ECTS	5 ECTS კრედიტი
სწავლის საფეხური	ბაკალავრიატი

ლექტორი:	ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი

სასწავლო კურსის ფორმატი	30 საათი	
ლექცია სემინარი პრეზენტაცია შუალედური/ დასკვნითი გამოცდა	14 საათი 10 საათი 2 საათი 4 საათი	

სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსის მიზანია აღჭურვოს სტუდენტი ფართო ცოდნით ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო სამართალსუბიექტის არსის და მნიშვნელობის, მისი გაფართოების ისტორიის, კოპენჰაგენის კრიტერიუმების, ფასეულობების, სამართლის, სამართალშემოქმედების, სამართლის განსაკუთრებული კომეპტენციების სფეროების შესახებ; სტუდენტმა გამოიმუშაოს უნარი ე ევროკავშირის სამართალშემოქმედების პოლიტიკისა და პროცესების, ევროკავშირის შიდა ბაზრის ფუნქციონირების კონკრეტული შემთხვევების ანალიზისათვის, იმსჯელოს ევროკავშირის ექსკლუზივში ტრანსფორმირებულ კომპეტენციებზე და მოახდინოს მათი სინთეზი საქართველოს მომავალი გაწევრების შტრიხებთან სინთეზი.

სასწავლო კურსის შინაარსი

- ევროგაერთიანების შექმნისა და დაფუძნების წინაპირობები, შექმნა, გაფართოება.
- ევროკავშირი, როგორც განსაკუთრებული ზენაციონალური საერთაშორისო ორგანიზაცია; ევროკავშირის მიზნები და ფასეულოებები.
- გაფართოების ახალი პაკეტი და კოპენჰაგენის კრიტერიუმები
- ევროკავშირის სამართლის სისტემა
- ევროკავშირში სამართლის მიღების პროცედურები
- ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტები
- ევროკავშირის კომპეტენციები
- ევროკავშირის შიდა ბაზარი
- გადაადგილების თავისუფლებები
- ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა
- ევროკავშირის საგარეო ქმედებები
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ადმინისტრაციული თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება
- ევროკავშირის ბიუჯეტი

მეთოდები და აქტივობები

- ლექცია: ახსნა-განმარტება, პრეზენტაცია, თეორიული მასალის ახსნა
- კონკრეტული ქეისების განხილვა და ფაქტებზე დაფუძნებული შეფასებები
- დისკუსია, კამათი, მსჯელობა
- სასემინარო გამოკითხვები (ზეპირი და წერითი ფორმით)
- დამოუკიდებელი საშინაო დავალების მომზადება (სტუდენტის მიერ)
- შუალედური გამოცდა
- ფინალური გამოცდა

Co-funded by the European Union

EUPES Jean Monnet Chairs

CAUCASUS UNIVERSITY

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.
გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის, მხოლოდ და მხოლოდ, ავტორ(ებ)ს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან ევროპის განათლების და კულტურის აღმასრულებელი (EACEA) სააგენტოს მოსაზრებებს.
არც ევროკავშირი და არც გრანტის გამცემი ორგანო არ შეიძლება ჩაითვალონ პასუხისმგებელ პირებად.

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სილაბუსის აღწერა

სასწავლო კურსის დასახელება	ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით
სასწავლო კურსის სტატუსი	არჩევითი
ECTS	5 ECTS კრედიტი
სწავლის საფეხური	ბაკალავრიატი

ლექტორი:	გურანდა ჭელიძე, ისტორიის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი

სასწავლო კურსის ფორმატი	30 საათი	
ლექცია სემინარი პრეზენტაცია შუალედური/ დასკვნითი გამოცდა	14 საათი 10 საათი 2 საათი 4 საათი	

სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსის მიზანია მიმოიხილოს და სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა ევროპის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესის - ევროპული ინტეგრაციის, ევროკავშირში აღმოსავლეთით გაფართოებისა და მასში გაწევრების პროცესების შესახებ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2024 წლამდე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის კავკასიაში მიმდინარე პროცესების თაობაზე. სტუდენტი ეცნობა აღმოსავლეთით ევროკავშირის გაფართოების სხვადასხვა ეტაპს და ისეთ საკითხებს, როგორიცაა ევროკავშირის გაფართოება, გაფართოების ინსტრუმენტები და გაფართოების პრაქტიკა. კურსი მიზნად ისახავს გაფართოების პროცესის შესწავლას სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, ყურადღება ფოკუსირებულია ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პროცესზე 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომის შემდეგ, აწვდის სტუდენტს ცოდნას ამჟამინდელი და სამომავალი ინტეგრაციის პერსპექტივის შესახებ.

სასწავლო კურსი აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას სწორად გაიგოს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ძირითადი კონცეფციები, გაანალიზოს არსებული სიტუაცია და შეძლოს ალტერნატიული პერსპექტივის ინტერპრეტირება თანამედროვე ევროინტეგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული განსხვავებული კონცეფციების სინთეზირებითა და შეფასებით, განსაზღვროს საქართველოს ადგილი და როლი ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში.

სასწავლო კურსის შინაარსი

- ევროპის კავშირის გაფართოება. გაფართოება როგორც ევროპის კავშირის მთავარი ინსტრუმენტი
- ევროგაერთიანების შენება 1958-1985 წლებში
- ვროკავშირის გაფართოების შესაძლებლობები 2004 წლიდან დღემდე
- ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივები
- თურქეთი - მუდმივი აპლიკანტი?
- ევროპის კავშირის გაფართოება – ბალტიის სახელმწიფოები: ერი–სახელმწიფოდან წევრ–სახელმწიფომდე
- ყოფილი საბჭოთა ქვეყნები და ევროკავშირი - რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, კავკასია
- რუსეთი – მისი როლი და გავლენა ევროპის კავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პოლიტიკაში
- საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები

- ევროკავშირში გაწევრიანების გზა - უკრაინა და მოლდოვა
- ევროკავშირის გაფართოების პრაქტიკის ანალიზი
- ბრექსითი - ინტეგრაცია vs დეზინტეგრაცია

მეთოდები და აქტივობები

- ვერბალური მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- დემონსტრირების მეთოდი;
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება

Co-funded by the European Union

EUPS Jean Monnet Chairs

CAUCASUS UNIVERSITY

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.
გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის, მხოლოდ და მხოლოდ, ავტორ(ებ)ს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან ევროპის განათლების და კულტურის აღმასრულებელი (EACEA) სააგენტოს მოსაზრებებს.
არც ევროკავშირი და არც გრანტის გამცემი ორგანო არ შეიძლება ჩაითვალონ პასუხისმგებელ პირებად.

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სილაბუსის აღწერა

სასწავლო კურსის დასახელება	ევროკავშირის გაფართოება, სამეზობლო და პარტნიორობის პოლიტიკა
სასწავლო კურსის სტატუსი	არჩევითი
ECTS	5 ECTS კრედიტი
სწავლის საფეხური	მაგისტრატურა

ლექტორი:	გურანდა ჭელიძე, ისტორიის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი

სასწავლო კურსის ფორმატი	34 საათი	
ლექცია	14 საათი	
სემინარი	14 საათი	
პრეზენტაცია	2 საათი	
შუალედური/ დასკვნითი გამოცდა	4 საათი	

სასწავლო კურსის მიზანი

კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა ინსტრუმენტები - ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის“ ფარგლებში საქართველო–ევროკავშირის ურთიერთობებს, ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრირების პროცესებს.

ასევე ევროინტეგრაციული პროცესების, ევროკავშირის გაფართოების სპეციფიკის, ევროკავშირის ურთიერთობის შესწავლას „უფრო ფართო ევროპასთან“, ევროკავშირის გაფართოების მიზეზებსა და შედეგებს. კურსი მიზნად ისახავს გაფართოების პროცესის შესწავლას სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, ყურადღება ფოკუსირებულია ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პროცესზე 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომის შემდეგ, აწვდის სტუდენტს ცოდნას ამჟამინდელი და სამომავალი ინტეგრაციის პერსპექტივის შესახებ.

სტუდენტს ეუფლება ცოდნას ევროპული ინტეგრაციის სფეროში მიმდინარე პროცესების არსისა და დინამიკის შესახებ, რაც, შესაბამისად, მას აძლევს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ძირითადი კონცეფციების სწორად გაგების, ალტერნატიული პერსპექტივების ინტერპრეტირების, რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნისა და საკითხთა ობიექტური ანალიზის გაკეთების, არსებული კომპლექსური პრობლემების ანალიზისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სტუდენტების მომზადებას სამთავრობო, საერთაშორისო და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის. კურსის გავლის შემდგომ სტუდენტს შეუძლია თანამედროვე ევროინტეგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული განსხვავებული კონცეფციების სინთეზირება და შეფასება, თანმიმდევრული პოლიტიკური არგუმენტაციისა და ანალიზის ჩამოყალიბება საქართველოს როლსა და ადგილთან მიმართებაში მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში.

სასწავლო კურსის შინაარსი

- ევროკავშირის ისტორიული განვითარება
- ევროგაერთიანებიდან ევროკავშირამდე
- ევროპის სამეზობლო პოლიტიკა - ENP
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა - EaP
- გამოწვევები და პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონთან თანამშრომლობისათვის. ევროპის კავშირი და თურქეთი
- ევროკავშირის წევრი ქვეყნების ევროკავშირში გაწევრების მაგალითები - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა
- ევროპის კავშირის გაფართოება – ბალტიის სახელმწიფოები: ერი–სახელმწიფოდან წევრ–სახელმწიფომდე
- ევროპის კავშირის გაფართოება – ბალკანეთის ქვეყნების მაგალითზე
- ყოფილი საბჭოთა ქვეყნები და ევროკავშირი - რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, კავკასია
- საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები
- ევროკავშირში გაწევრიანების გზა - უკრაინა და მოლდოვა
- ევროკავშირის გაფართოების პრაქტიკის ანალიზი. ინტეგრაცია VS დეზინტეგრაცია

მეთოდები და აქტივობები

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- დისკუსია/დებატები;
- ინდუქცია/დედუქცია;
- ჯგუფური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- გონებრივი იერიში;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
- ზეპირი და წერითი გამოკითხვები;
- საშინაო დავალების მომზადება (სტუდენტის მიერ);
- შუალედურ/ფინალური გამოცდა